

ევროკავშირის როლი საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში

ნანა ბერუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკური მეცნიერებების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ევროკავშირის, როგორც ნორმატიული ძალის პოლიტიკა, საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში, განსაკუთრებით ევროპის სამეზობლო პოლიტიკის იმპლემენტაციის საწყის ეტაპზე.

ნაშრომი თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მიდგომად შემთხვევის შესწავლის მეთოდს იყენებს.

ანალიზის შედეგადიმ ძირითადი პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირება ხდება, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოების სექტორში რეფორმების სრული იმპლემენტაციის, და შესაბამისად ევროპეიზაციის პროცესის შეფერხებას იწვევს. მათ შორის: ევროკავშირის მხრიდან პირობითობისა და სტიმულების სიმცირე, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საერთო სტრატეგიის არ არსებობა და პროცესის ფრაგმენტულობა, არათანმიმდევრულობა და ინსტიტუციური ჰიბრიდულობა, საქართველოს შიდა პოლიტიკური საჭიროებების უგულვებელყოფა, ან ინდიფერენტულობა, რაც რუსეთის ფედერაციის საგარეო ფაქტორითაც არის გამოწვეული.

საბოლოო ჯამში, ევროკავშირი, როგორც ნორმატიული ძალა, საქართველოს უსაფრთხოების სექტორში, ვერ ახდენს საკუთარი ნორმებისა და ღირებულებების ადეკვატურ ექსპორტს ქვეყნის შიდა დონეზე ცვლილებების მისაღწევად.

საძიებო სიტყვები: ნორმატიული ძალა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, ევროპეიზაცია.

Abstract

The aim of this thesis is to analyze the politics of the EU as a normative power, in the process of the security sector reform of Georgia, especially at the early stage of the ENP implementation.

Methodologically the thesis is implied in the qualitative research category and uses a case-study method as a basic methodological approach.

The analysis identified several problems and challenges, which hinder the full implementation of reforms in the security sector and hence - the process of Europeanization.

They are: lack of conditionality and incentives, the absence of an overall strategy for security sector reform and the fragmentary process, institutional hybridity, neglecting the internal political needs of Georgia, or indifference, which is also caused by the foreign factor of Russian federation.

In sum, EU, as a normative power is unable to transfer its norms and values into the security sector of Georgia, in order to achieve significant changes at the domestic level.

Key words: Normative power, European neighborhood policy, Security Sector Reform, Europeanization